

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, 2012. მოცემული თარგმანი შეკვეთილ იქნა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მხარდაჭერის ფონდის დახმარებით (www.coe.int/humanrightstrustfund). აღნიშნული არ ბოჭავს სასამართლოს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მითითება მოცემული დოკუმენტის ბოლოში.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

საინფორმაციო ბარათი სასამართლოს პრეცედენტულ საქმეზე #136

2010 წლის დეკემბერი

ო'დონოჟიუ და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – 34848/07

გადაწყვეტილება 14.12.2010 (IV სექცია)

მუხლი 12

ქორწინება

იმიგრანტებისთვის ინგლისის ეკლესიის გარეთ ქორწინების სურვილის შემთხვევაში ნებართვის მიღების მოთხოვნა: დარღვევა

მუხლი 14

დისკრიმინაცია

იმიგრანტებისთვის ინგლისის ეკლესიის გარეთ ქორწინების სურვილის შემთხვევაში ნებართვის მიღების მოთხოვნა: დარღვევა

ფაქტები – 2004 წლის თავშესაფრისა და საიმიგრაციო კანონის ნაწილი 19-ის შესაბამისად, საიმიგრაციო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები, რომელთაც აქვთ დაოჯახების სურვილი მაგრამ არ სურთ ან არ შეუძლიათ ამის გაკეთება ინგლისის ეკლესიაში ვალდებულნი არიან მიმართონ სახელმწიფო მდივანს ნებართვის მისაღებად თანხმობის სერტიფიკატის ფორმით, რომლის მისაღებად მათ უნდა გადაიხადონ გადასახადი. ამ წესიდან გამონაკლისი, ან გადასახდელი თანხის შემცირების საშუალება არ არსებობს და ეს თანხა მოცემული მომენტისთვის შეადგენდა 295 ბრიტანულ გირვანქა სტერლინგის (დაახლოებით 330 ევროს). სისტემის პირველი ვერსიის მიხედვით – რომელიც 2005 წელს იყო პირველად წარდგენილი – თანხმობის სერტიფიკატის მისაღებად საჭირო იყო პირს ჰქონოდა

გაერთიანებულ სამეფოში ყოფნის ან გასვლის მინიმუმ 6 თვანი ნებართვა და განცხადებით მიმართვის მომენტისთვის ამ ვადის ამოწურვამდე დარჩენილი უნდა ყოფილიყო სამი თვე მაინც. ეს სისტემა შეიცვალა ორჯერ და გაფართოვდა პირთა წრე რომლებიც უფლებამოსილნი არიან მიიღონ თანხმობის სერტიფიკატი, პირველად გავრცელდა იმ პირებზე ვინც ვერ მიიღეს ქვეყანაში დარჩენაზე და ქვეყნიდან გასვლაზე სრულფასოვანი ნებართვა ან საერთოდ ვერ მიიღეს ესეთი ნებართვა და შემდეგ მეორე და მესამე ვერსიის მიხედვით განმცხადებელს მოეთხოვებოდა ინფორმაციის წარდგენა იმის თაობაზე რომ ქორწინება არ იყო ფიქტიური.

მეორე მომჩივანი, ნიგერიის მოქალაქე, ჩავიდა ჩრდილოეთ ირლანდიაში 2004 წელს სადაც ის შეხვდა მეორე მომჩივანს რომელსაც შესთავაზა ქორწინება 2006 წლის მაისში. წყვილს არ სურდა ინგლისის ეკლესიაში ქორწინება ვინაიდან ისინი რომანულ კათოლიკური რელიგიის მიმდევრები იყვნენ და ვინაიდან ჩრდილოეთ ირლანდიაში საერთოდ არ არის ინგლისური ეკლესია, ამიტომ მათ მოითხოვეს თანხმობის სერტიფიკატი. მეორე მომჩივანი იყო თავშესაფრის მაძიებელი და შესაბამისად ის არ იყო უფლებამოსილი განაცხადით მიემართა სერტიფიკატის მიღებაზე სანამ სისტემის მესამე ვერსია არ ამოქმედდა 2007 წლის ივნისში. 2007 წლის ივლისში პირველმა და მეორე მომჩივნებმა მიმართეს თანხმობის სერტიფიკატის მისაღებად და მოითხოვეს მათი გადასახადიდან გათავისუფლება იმ საფუძვლით რომ პირველი მომჩივანი სახელმწიფო დახმარებაზე იყო დამოკიდებული და მეორე მომჩივანი კი არ იყო უფლებამოსილი ემუშავა გაერთიანებულ სამეფოში მისი დროებითი დაშვების გამო, მაგრამ მათი განცხადება არ დაკმაყოფილდა გადასახადის გადაუხდელობის გამო. საბოლოოდ მათ მიიღეს თანხმობის სერტიფიკატი 2008 წლის ივლისში მას შემდეგ რაც მათ მოიძიეს შესაბამისი თანხა მეგობრებისგან გადასახადის დასაფარად.

კანონი – მუხლი 12: მიუხედავად იმისა რომ არსებითად მოთხოვნა იმ პირების მიმართ ვინც წარმოადგენენ საიმიგრაციო კონტროლის ობიექტს და სურთ გაერთიანებულ სამეფოში დაოჯახება ვალდებულნი არიან მიიღონ თანხმობის სერტიფიკატი არ წარმოადგენს მიუღებელ მოთხოვნას, მაგრამ იწვევს გარკვეულ მღელვარებას სახვადასხვა საკითხთან მიმართებით.

პირველი, გადაწყვეტილება სერტიფიკატის გაცემის თაობაზე არ ეფუძნებოდა ქორწინების გულწრფელობას. სისტემის პირველი ვერსია არ მოითხოვდა ამ საკითხის არანაირი ფორმით მოკვლევას ან გამოძიებას ვინაიდან გადაწყვეტილება სერტიფიკატის გაცემაზე დამოკიდებული იყო იმაზე განმცხადებელს ჰქონდა თუ არა ქვეყანაში ყოფნის ნებართვა; მეორე და მესამე ვერსიებით კი გათვალისწინებული იყო იმ პირებისათვის ვისაც არ ჰქონდათ ქვეყანაში ყოფნის ნებართვა დამატებით წარმოედგინათ ინფორმაცია მათი ურთიერთობის გულწრფელობის შესახებ. სქემის სამივე ვერსიის მიხედვით განმცხადებლები რომელთაც აქვთ “საკმარისი” ნებართვა იყვნენ უფლებამოსილნი მოეთხოვათ თანხმობის სერტიფიკატი ქორწინების გულწრფელობის დადასტურებელი ინფორმაციის გარეშე.

მეორე, სისტემის პირველი და მეორე ვერსია აწესებს აკრძალვას ქორწინების უფლების გამოყენებაზე ყველა პირისთვის ვინც სპეციალურ კატეგორიას განეკუთვნება – უცხო ქვეყნის მოქალაქეები ქვეყანაში დარჩენის შეზღუდული

ნებართვით ან უნებართვით მიუხედავად იმისა მიიჩნევა თუ არა ქორწინება ნამდვილ, გულწრფელ ქორწინებად. ამ კატეგორიაში მყოფი პირების ქორწინების უფლებაზე გაუგებარი აკრძალვის დაწესების გამამართლებელი საფუძველი არ არსებობდა. იმ შემთხვევაშიც კი თუ არსებობდა მტკიცებულებები (არცერთი არ იყო წარმოდგენილი) რომელიც დაამტკიცებდა რომ ამ კატეგორიის ადამიანები უფრო მეტად იყვნენ მიდრეკილნი ფიქტიური ქორწინებისკენ, აკრძალვა მიუხედავად ყოველგვარი მცდელობისა გამოძიებულ იქნას ქორწინების ნამდვილობა, იმდენად ზღუდავდა ქორწინების უფლების გამოყენებას რომ ლახავდა მის არსს. განსაკუთრებული საფუძველებით არსებული გამონაკლისები არ ცვლიდა მდგომარეობას ვინაიდან ამის ერთპიროვნული გადაწყვეტის უფლება ენიჭებოდა სახელმწიფო მდივანს.

მესამე, ქორწინების უფლების არსის შელახვა ხდება ასევე იმ მაღალი გადასახადის დაწესებით რომელიც შესაძლოა ვერ გადაეხადა შეჭირვებულ ადამიანს. იმის გათვალისწინებით რომ ბევრი პირი ვინც ექვემდებარება საემიგრაციო კონტროლს და შესაბამისად ვერ მუშაობს ან მათი შემოსავალი არის დაბალი, 295 ბრიტანული გირვანქა სტერლინგის გადახდის ვალდებულება არის სკამოდ მძიმე და ლახავს ქორწინების უფლებას. ეს ისევ ძალაში დარჩა მას შემდეგ რაც ახალი სისტემა დაინერგა რომლის ფარგლებშიც მოხდა შეჭირვებული განმცხადებლებისთვის თანხის ანაზღაურება 2010 წლის ივლისში, ვინაიდან გადასახადის გადახდის მოთხოვნა შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს ქორწინების რეგისტრაციის მსურველთათვის.

და ბოლოს, მომჩივანის მიერ პირველად ქორწინების სურვილის გამოვლენისას 2006 წლის მაისში და მათ მიერ თანხმობის სერტიფიკატის მიღებამდე 2008 წლის ივლისამდე, არსი პირველი და მეორე მომჩივანის ქორწინების უფლების შეილახა, პირველად სქემის მეორე ვერსიის ფარგლებში როდესაც მეორე მომჩივანს არ ჰქონდა უფლება მიეღო თანხმობის სერტიფიკატი ქორწინებაზე და საბოლოოდ გადასახადის მაღალი საფასურის გამო.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად)

მუხლი 14 მუხლი 12-თან ერთად: სისტემის პირველი ვერსია დისკრიმინაციულია რელიგიის გამო. მეორე მომჩივანი თითქმის მსგავს მდგომარეობაში იყო ვინც ის პირი ვისაც არ აქვს ქვეყანაში დარჩენის ნებართვა რომელიც მზად იყო და შეეძლო ქორწინება გაეფორმებინა ინგლისის ეკლესიაში. მაშინ როდესაც ესეთ პირს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეეძლო დაქორწინება, მეორე მომჩივანს არც სურვილი ჰქონდა (მისი რელიგიური რწმენის გამო) და არც შეეძლო (მისი ჩრდილოეთ ირლანდიაში ცხოვრების გამო) დაქორწინებულიყო ინგლისურ ეკლესიაში. შედეგად, მას უარი ეთქვა ქორწინებაზე გაერთიანებულ სამეფოში იქამდე სანამ ცვლილებები არ შევიდა სისტემაში და სანამ მან არ მოიპოვა თანხმობის სერტიფიკატი და არ გადაიხადა საკმარის მაღალი თანხა. ამკარაა რომ ადგილი ჰქონდა განსხვავებულ მოპყრობას რომლის ობიექტური და დასაბუთებული საფუძველი არ არსებობდა.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად)

მუხლი 14 მუხლი 9-თან ერთად: სახელმწიფო დათანხმდა რომ პირველი და მეორე მომჩივანის უფლებები განსაზღვრული მე-14-ე მუხლით მე-9-ე მუხლთან ერთად

დარღვეული იყო ვინაიდან მათ მოეთხოვებოდათ ისეთი რეჟიმით ქორწინება რომელიც არ ვრცელდებოდა მათზე ვისაც სურდა ინგლისურ ეკლესიაში ქორწინება.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად)

მუხლი 41: 8500 ევრო, ორივესთვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად და 295 ბრიტანული გირვანქა სტერლინგი ორივეს ფინანსური ზიანის ასანაზღაურებლად

© evropis sabWo/adamianis ufelebaTa evropis sasamarTlo, 2012

adamianis ufelebaTa evropis sasamarTlos oficialuri enebia inglisuri da franguli. mocemuli Targmani SekveTil iqna evropis sabWos adamianis ufelebaTa mxardaWeris fondis daxmarebiT (www.coe.int/humanrightstrustfund). aRniSnuli ar boWavs sasamarTlos da sasamarTlo ar iRebs raime pasuxismgeblobas mis xasisxe. aRniSnuli SeiZleba CamotvirTul iqnas adamianis ufelebaTa evropis sasamarTlos HUDOC-is precedentuli samarTlis monacemTa bazidan (<http://hudoc.echr.coe.int>) an nebismieri sxva monacemTa bazidan, romelsac sasamarTlom gauziara igi. aRniSnuli SeiZleba kvlav iqnes nawarmoebi arakomerციuli miznebisTvis im pirobiT rom saqmის sruli dasaxeleba iqneba miTiTebuli, mocemuli saavtoro ufeleba da adamianis ufelebaTa mxardaWeris fondze miTiTebiT. Tu ganzraxulia aRniSnuli Targmanis raime nawilis komerციuli miznebisTvis gamoyeneba, gTxovT daukavSirdeT publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012.

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012.

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.

Click here for the [Case-Law Information Notes](#)

